პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 17 სექტემბერი № 218 (16958) ფასი 2 კაპ. 1977

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილ სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლებას უზრუნველყოფს აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართო განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე. მეათე ხუთწლედში ახალგაზრდობის რიგებიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მაღალი კვალიფიკაციის მუშები მომზადდება, უწინარეს ყოვლისა, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც ერთდროულად სპეციალობასაც იძენენ და ზოგად საშუალო განათლებასაც, და ტექნიკურ სასწავლებლებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „კომუნისტური აღზრდა გულისხმობს სახალხო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის განუწყვეტლივ სრულყოფას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. იგი წინანდელთან შედარებით სხვაგვარ ხასიათს ანიჭებს შრომას და, მაშასადამე, შრომისათვის ადამიანის მომზადებასაც“.

შრომისათვის ადამიანის მომზადება! — დიდებულად ყღერს ეს სიტყვები განსაკუთრებით ახლა, როცა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილესთან ერთად უმაგალითო შრომითი აღმავლობით კეთილდებთ, ახალი კონსტიტუციის მიღების წელს, კონსტიტუციისა, რომლის მე-40 მუხლში ჩაწერილია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი შრომის ანაზღაურებით, კერძოდ, უფლება — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით“.

ამ უფლების განხორციელებაში უდიდესი როლი აკისრია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას. პარტია და სახელმწიფო მუდამ შეუნელებელ ყურადღებას უთმობდნენ ამ სისტემას. ეს ბუნებრივიც არის. პროფესიულ-ტექნიკური განათლება სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ძირითადი საკოა გახდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაში. განუხრელად იზრდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რიცხვი, სადაც შექმნილია საჭირო პირობები, რათა ახალგაზრდობა დაეუფლოს მუშის თანამედროვე პროფესიებს, მიიღოს სრული საშუალო განათლება, ყოველმხრივ მოემზადოს დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის. პროფესიულ-ტექნიკური განათლების დიდ სახალხო-სამეურნეო და სახელმწიფო მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებული კიდევ ერთი საპროგრამო დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდა მუშათა კადრებით ქვეყნის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა უდიდესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა, და დასახულია ამ ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული გზები და საშუალებები.

საქართველოში პროფტექნიკური განათლების სისტემას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. უკანასკნელი წლების განმავლობაში ახალგაზრდობა განსაკუთრებით ეტანება მას.

განსაკუთრებით დიდია საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების პერსპექტივები. თუ შარშან 45 ასეთი სასწავლებელი გვქონდა, წელს რესპუბლიკაში მათი რიცხვი 55-მდე გაიზარდა. სასიამოვნოა ამის აღნიშვნა, რომ მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს სისტემის 120 სასწავლებელი იქნება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური, სადაც პროფესიის დაუფლებასთან ერთად საშუალო განათლებასაც მიიღებს 53.500-ზე მეტი ახალგაზრდა.

უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და მისმა სასწავლებლებმა განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ზოგიერთ სამაზრო სამინისტროსთან, უწყებებთან და საწარმოსთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებაში და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადებაში. ამასთანავე რიგი გადაუწყვეტელი საკითხები ჯერ კიდევ აფერხებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებას და კვალიფიციური მუშათა კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას. რესპუბლიკაში არ სრულდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობისა და არსებულ სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოების გეგმა, კერძოდ, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხაზით. საბაზო სამინისტროები, უწყებები და სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს სისტემის სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

სწავლა-აღზრდის დონის ამაღლებას, სწავლების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დღეგანდელ ეტაპზე. სწორედ სწავლა-აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას და ახალგაზრდა მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრების უკეთ მომზადებას ითვალისწინებს დონისძიებანი, რომლებიც დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს როგორც ადრინდელ, ასევე მიმდინარე წლის მაისის ცნობილ დადგენილებებში. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და იმ ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით, რომლებიც ამ სისტემას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა დაუსახა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გაუმჯობესოს ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების ხარისხი, აამაღლოს სწავლა-აღზრდისა და პროფესიული მომზადების დონე, გაძლიერდეს მუშაობა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩაუნერგოს კომუნისტური მსოფლმხედველობა და მტკიცე რწმენა, მაღალი მორალური თვისებები. შრომისადმი ღრმა პატივისცემა, არჩეული პროფესიის სიყვარული. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სასწავლებელთა პედაგოგიური კოლექტივების, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა. ისინი განუწყვეტლივ უნდა სრულყოფდნენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, ამაღლებდნენ მის ეფექტიანობას, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფდნენ მაღალი კვალიფიკაციის მუშათა კადრების მომზადებას.

საქართველოს კომკავშირი, როგორც ყოველთვის, კვლავაც უნდა უზრუნველყოფდეს კომკავშირული ორგანიზაციების კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში. უნდა ამაღლდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა, სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის, მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებისათვის, სამშობლოს ერთგულ შვილებად, ლენინის პარტიის ნაკმისათვის თავდადებულ ადამიანებად მათი აღზრდისათვის.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის წლევანდელ საპირველხელტეგმბრო მიმართვაში ხაზგასმულია დროის ფახი მოსწავლეს ახალგაზრდობისათვის: „როცა პირველი ზარის შემდეგ მერხებს და ლაბორატორიის მაგიდებს მიუსხდებიან, — ლაპარაკია მიმართვაში, — არც ერთი დღე, არც ერთი საათი, არც ერთი წუთი არ უნდა დაკარგონ.რადგან დაკარგული დროის ანაზღაურება შეუძლებელია, ისწავლონ უფრო თავდადებით, უფრო გულმოდგინედ და ბეჯითად, ვიდრე წინა წლებში. თქვენ ხომ ახალი დიდებული პერსპექტივები გადაგიშალათ სკკპ XXV ყრილობამ, სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს უმკვიდრებს განათლების უფლებას“.

ხიტყვა და საქმე თქვენზეა, მეგობრებო! დაე გაწრთობდეთ მუშათა კადრების სკოლა!

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

სამოცი დამკვრელური დღე

ნავსადგურელთა ინიციატივა

მისაბაძია

ფოთი. (საკ. კორ.). — დიდი ოქტომბრის იუბილემდე დარჩენილ სამოც დღეს დამკვრელურად ვიშრომოთ, დღეში შევასრულოთ დღენახევრის ნორმა! — ამ დევიზით გაიმართა ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელზეც მიმდინარე წლის 8 თვის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ნავსადგურის უფროსმა გ. ვატაევმა.

კრებაზე ნავსადგურელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ ინიციატივას და იუბილემდე დარჩენილი 60 დღე დამკვრელურად გამოაცხადეს. რისთვისაც გადაწყვეტეს ჩქაროსნული მეთოდით დაამუშაონ გემები და რკინიგზის ვაგონები. არ დაუშვან მექანიზმების, ვაგონებისა და გემების მოცდენის შემთხვევები, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და თვითღირებულების შემცირებით მიღებული დანაზოგი შეიტანონ საიუბილეო წლის ფონდში და იუბილემდე დარჩენილი 2 თვის გეგმის გადამეტებით ჩქაროსნულად გადამუშაონ 50 ათასი ტონა სახალონ-სამეურნეო ტვირთი.

ამ დღეებში პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა ნავსადგურელთა ეს ინიციატივა და მიიღო დადგენილება ქალაქის სამრეწველო საწარმოებში მისი განზოგადების შესახებ.



ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲔᲜ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). საწარმოთა გაერთიანება „თბილთამბაქოს“ (დირექტორი გ. კვშელავა) კოლექტივმა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 828 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც საიუბილეო წლისთვის სოციალისტური ვალდებულებებით წინათ ნაკისრს 278 ათასი მანეთით აღემატება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იანვარ-აგვისტოში შრომის ნაყოფიერების ზრდამ საწარმოში 1,8 პროცენტს მიაღწია. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით დამზადებულია 760 ათასი მანეთის ზედგამეორი პროდუქცია.

ოქტომბრის საიუბილეო ვახტზე დაწინაურდნენ და ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაგარბებით ასრულებენ ვაირთიანების მოშენაგე მუშები მემანქანე მარეგულირებლები.

დროს გაუსწრეს

ცხინვალი. (საკ. კორ.). დღითიდღე მძლავრობს დიდი ოქტომბრის საიუბილეო სამზადისი ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში. ამ დღეებში თავდადებული შრომის რიტმი იგრძნობა ყველა უბანზე. მომხმარებლებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მაღალი ხარისხის მანქანები ეგზავნებათ. შრომითის გზაზე ბევრმა, ბრიგადამ, მუშამ გაუსწრო დროს. ზეიკალ-ამწყობთა ბრიგადამ, რომელსაც ხ. ფლიევი ხელმძღვანელობს, უკვე გაანაღდა ცხრა თვის დავალება და პროდუქციას ოქტომბრის ანგარიშში უშვებს. ასევე მაღალ მაჩვენებლებს აღწევს გ. ოთინაშვილის მჭრელთა ბრიგადა.

სოციალისტური შეჯიბრების წინა რიგებში არიან და პროდუქციას უკვე ნოემბრის ანგარიშში უშვებენ მოარავები გ. მამიევი და პ. მალძოვი, მემონტაჟე რ. ფლიევი.

ᲮᲣᲗᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

სურათზე: — ზემოთ ორაგმირის რაიონის სოფელ ბლოუს ლაკობას ხახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ახუბა, რომელმაც შიდინარე ხეზონში უკვე მოკრიფა 6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და ვალდებულება იკისრა კიდევ დამატებით მოკრიფოს 1 ტონა „მწვანე ოქრო“.

გ. ალპერტის ფოტო.

საგარეჯოს რაიონში გაჩაღდა რთველი. ღვინის ქარხნებში უკვე მიიტანეს მოსავლის პირველი ტონები. საგარეჯოელ მევენახეებს გადაწყვეტილი აქვთ საიუბილეო წელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20.310 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდონ 23 ათასი ტონა ყურძენი.

სურათზე: ქვემოთ — რთველი საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

400.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ

აფხაზეთის მეჩაიეთა შრომითი გამარჯვება

ლირსშესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა აფხაზეთის კოლმეურნეობათა მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთოლის კრეფიხა და სახელმწიფოსათვის მიეყიდვის დიდი ვალდებულება. რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს უკვე გაეგზავნა 73 ათას ტონაზე მეტი მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმა და დამატებითი დავალება კი 65 ათას ტონას ითვალისწინებს. ეს 9 ათასი ტონით მეტია, ვიდრე შარშან დაამზადეს.

ჩაის კრეფაში მაქსიმალური შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში მეჩაიეთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ. დიდი შრომითი გამარჯვების მიღწევაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების ჩაის მკრეფავებმა.

მწვანე პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლა ყველგან ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ნიშნით მიმდინარეობდა. ჩაის ფაბრიკებმა მოკრეფილი ნედლეულის 70 პროცენტზე მეტი პირველ ხარისხად მიიღეს. საშუალოდ მეტკარზე მოწეულია 6,8 ტონა ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფა რესპუბლიკის პლანტაციებში გრძელდება. (საქინფორმი).

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

რთველში დასაქმებული მევენახეებისა და დამამზადებლების შრომის სტიმულირების ახალმა ფორმებმა და მეთოდებმა, რომლის მიხედვით მოწინავე მკრეფავები დღეში ხაშუალოდ 25-30 მანეთ ანაზღაურებას იღებენ, დიდი ინტერესი და ხალისი შეიტანა შრომაში, სოციალისტურ ოეჯიბრებაში.

ყოველდღე ახალი რეკორდები ამბადება.

გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად ყველაზე უკეთესად ნადია ნებუნლიშვილი მუშაობს. იგი. დღეში 1.400-1.500 კილოგრამ ყურძენს კრეფს.

შაშიანის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა დარეჯან მღერიაშვილმა, რომელიც დღეში საშუალოდ 1.400 კილოგრამ ყურძენს კრეფს.

სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შეჯიბრებაში ლიდა ჩოხელი და ელენე კისლიკოვა დაწინაურდნენ. დღეში თითეული 1.400-1.500 კილოგრამ ყურძენს კრეფს. ამ საქმეში მათ დიდად არ ჩამორჩებიან თამარ ბენაშვილი, ზაქარია ჭუკულაშვილი, რომლებიც ყოველდღიურად 1.200-1.300 კილოგრამს კრეფენ.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჭაფარიძის კოლმეურნეობაში ყურძნის კრეფის ყოველდღიურ ნორმებს თითქმის ერთისამად ასრულებენ მარიამ გოგელაშვილი, ნინო ხატიაშვილი, მარიამ ბეკოშვილი. გუნინ ყველა მათგანს ოლია სეფიაშვილმა აჯობა. მან 1.300 კილოგრამი ყურძენი მოკრიფა.

500.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!



ᲓᲘᲓᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

„სამტრესტის“ ცნობებით მოკრეფილია 16 სექტემბრისათვის (ტონა)

რაიონები	გეგმა	ვალდებულება	15 სექტემბრის მოცემულობა	სულ რაოდენობა დაწყებიდან
გურჯაანის	88000	100000	3651	49555
თელავის	53500	55000	2939	20980
სიღნაღის	31000	35000	906	14226
ყვარლის	29000	32000	647	13406
ახმეტის	26000	26000	922	3494
საგარეჯოს	20310	23000	430	3488
წითელწყაროს	19000	22000	944	12426
მარნეულის	16150	16500	1021	10141
ბოლნისის	10000	11000	527	4795
გარდაბნის	9500	9500	267	1232
ლაგოდეხის	9000	9000	404	2941
მცხეთის	9000	9000	18	374
ზესტაფონის	21050	26000	9	145
თერჯოლის	17300	22000	5	107
სულ საქართველოში	455000	500000	12700	137310

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ!

რეზრუ „კომუნისტის“ მკითხველებს მოეხსენებათ და ამ ცხრილიდანაც ჩანს, დიდია გურჯაანელ მევენახეთა წვლილი 500 ათასი ტონა ყურძნისათვის ბრძოლაში.

უკანასკნელი ცნობებით გურჯაანელებმა ვალდებულებით გათვალისწინებული ყურძნის თითქმის ნახევარი უკვე მოკრიფეს. მაგრამ სიტყვა, პირობა რომ პირნათლად შეასრულონ ეს ბევრად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ ჩამბარებლებზეც.

და აი საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა წერილით მიმართეს რაიონის ყველა მშრომელს:

„...წარმატებისათვის ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი, გამოსაყენებელია ყველა რეზერვი, რაც კი გაგვაჩნია. ყველაზე დიდი რეზერვი ახლა ყურძნის ინდივიდუალური ჩაბარებაა. ეს რეზერვი რომ სრულად ამოქმედდეს, მაშინ, ძვირფასო მეგობრებო, გურჯაანელთა პირობის განაღდებას წინ ვერაფერი აღუდგება. ამიტომ მოგმართავთ თქვენ და დარწმუნებული ვართ, რომ 100 ათასი ტონისათვის ლაშქრობაში თავიანთ სიტყვას იტყვიან ყურძნის ინდივიდუალურად ჩამბარებლებიც“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოწოდებას გურჯაანელი მევენახეები პატრიოტულად მიუდგებიან თავიანთი საკარმიდამო ვენახებიდან სულ უფრო მეტ და მეტ ყურძნის მიკყიდიან სახელმწიფოს.

ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ

გურჯაანი

გურჯაანის რაიონის ჭანდრის მცხოვრებმა **ოთარ ჯოხაძემ** 13 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, გურჯაანელმა **ალექსი ციკარიშვილმა** — 8 ტონა, ჭანდრელმა **იოსებ მთიბლიშვილმა** — 7 ტონა.

სიღნაღი

ტიბაანელმა ანზორ გურაშვილმა 10 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, ძველანაგელმა **შალვა ტალიაშვილმა** — 7 ტონა, ტბაანელმა **ოთარ ალადაშვილმა** — 6 ტონა.

ყვარელი

ჰიკაანელმა მევენახემ **ვლადიმერ გელაძემ** სახელმწიფოს 9 ტონა ყურძენი მიჰყიდა, შილდელმა **გიორგი ჩახტაურმა** — 6 ტონა, ჭიკაანელმა **არსენ ყიფშიძემ** — 2 ტონა და 890 კილოგრამი, ყვარლელმა **ვალიკო ზაუტაშვილმა** — 2 ტონა და 160 კილოგრამი. იგი 5 ტონას კიდევ გვპირდება.

შილდელმა **დურმიშხან დინგაშვილმა გადაწყვიტა** 9 ტონა ყურძენი მიჰყიდოს სახელმწიფოს, ამდენსავე მიჰყიდის ყვარელელი **ირმდანე სეფიაშვილი.**

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

16 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ინდოეთის განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის მინისტრი პ. ნ. ჩუდერი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოწვევით. იგი მეთაურობს ინდოეთის მთავრობის დელეგაციას, რომელიც მონაწილეობს ინდოეთის დამოუკიდებლობის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების ფესტივალის საზეიმო გახსნაში.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გამოსცა პოლიტგზამმა

„სოციალიზმი და ევროპის უშიშროება“ — ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომელიც გამოსაცემად მოამზადა საბჭოთა მესაერთაშორისე ისტორიკოსებისა და მეცნიერთა კოლექტივმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ; წიგნის ავტორები ყოველმხრივ განიხილავენ სოციალისტური ქვეყნების აქტიური, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის როლს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცების საქმეში. დიდი ყურადღება ეთმობა ამ ქვეყნების თანამიმდევრულ მეცადინეობას. რომლის მიზანია უზრუნველყოს ევროპის მტკიცე უშიშროება. წიგნში გაშუქებულია სოციალიზმის ქვეყნების ბრძოლა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თითბრის საბოლოო აქტში ჩამოყალიბებულ მორიგებათა შესრულებისა და განხორციელებისათვის.

* * *

ახალ, დამატებით გამოცემად გამოვიდა წიგნი **„როგორ ესმით კომუნისტებს მორალი“.** წიგნში შეკრებილია დოკუმენტები, კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, აგრეთვე ფ. ე. ძერჟინსკის, მ. ი. კალინინის, ხ. მ. კროვის, ნ. კ. კრუპსკაიას წერილები და გამრთამქვამები კომუნისტური მორალის საკითხებზე.

კრებულში დიდი ადგილი უკავია მასალებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან, გამონათქვამებს, რომლებიც აღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებიდან და გამოსვლებიდან.

საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენა

15 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა ბიოქიმიისა და მედიცინის დარგის ასი ახალი მეცნიერული აღმოჩენა. აღმოჩენის ავტორებმა — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო კარდიოლოგიური ცენტრის თანამშრომლებმა — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ი. ჩაზოვმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა ე. ნ. სმირნოვმა, ლ. ვ. როზენშტრაუხმა და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ა. საკმამ — დაადგინეს წინათ უცნობი მოვლენა. მათ აღმოაჩინეს, რომ კრეატინის — გულის უჯრედებში შემავალი განსაკუთრებული ბოტოვანი ნივთიერების ზემოქმედებით ხდება გულის კუნთის შეკუმშვის ძალის რეგულაცია.

საბჭოთა მეცნიერების კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სწრაფად განვმარტოთ მიოკარდიუმის ინფარქტისა და გულის ზოგიერთი სხვა დაავადების დროს ენერგეტიკული გაცვლის ცვლილებებისა და შეკუმშვის დარღვევის მექანიზმი. მიღებული შედეგების მეოხებით შეიძლება შეიქმნას ახალი საშუალებანი, რომლებიც გაგლენას ახდენენ გულის კუნთში ენერგიის უჯრედსშიდა გადატანის ცალკეულ სტადიებზე და ხელს შეუწყობენ მიოკარდიუმის კუმშვადობის გამიზნულ მართვას.

(საკდესის კორ.).

ᲘᲕᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐ

ᲑᲘᲚᲬᲚᲘᲔᲚᲘ შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლო ხომალდი „სმოლნი“, რომლითაც სასწავლო ნაოსნობას ეწევიან უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები, 20-25 სექტემბერს საპასუხო ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა იტალიის ნავსადგურს ლეგორნოს. ვიზიტს უმეთაურებს ადმირალი ვ. ვ. მიხაილინი.

ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲡ�წᲠᲔᲡ

ცხინვალი. (საკ. კორ.). დღითიდღე მძლავრობს დიდი ოქტომბრის საიუბილეო სამზადისი ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში. ამ დღეებში თავდადებული შრომის რიტმი იგრძნობა ყველა უბანზე. მომხმარებლებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მაღალი ხარისხის მანქანები ეგზავნებათ. შრომითის გზაზე ბევრმა, ბრიგადამ, მუშამ გაუსწრო დროს. ზეიკალ-ამწყობთა ბრიგადამ, რომელსაც ხ. ფლიევი ხელმძღვანელობს, უკვე გაანაღდა ცხრა თვის დავალება და პროდუქციას ოქტომბრის ანგარიშში უშვებს. ასევე მაღალ მაჩვენებლებს აღწევს გ. ოთინაშვილის მჭრელთა ბრიგადა.

სოციალისტური შეჯიბრების წინა რიგებში არიან და პროდუქციას უკვე ნოემბრის ანგარიშში უშვებენ მოარავები გ. მამიევი და პ. მალძოვი, მემონტაჟე რ. ფლიევი.

ᲨᲐᲮᲢᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ჰიროშიმა. (საკ. კორ.). არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჭიაფურელ შახტმშენებლებს ახალი სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა დაერღვიოთ, ხოლო დამთავრებული ობიექტის შეფასება „კარგზე“ დაბალი ყოფილიყო.

დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია საიუბილეო წელს, — თქვა საუბარში სამმართველოს უფროსმა ზ. მწვეინერაძემ, — იუბილეს დღეებში სამთოელებს უნდა ჩვენბამოთ წლიურად 250 ათასი ტონა მანგანუმის მადნის წარმადობის უნებები ლენინის. სტალინის სახელობისა და ახალი ითბოვისის მაღაროთა სამმართველოებში. ამიტომ საქმე ისე ავაწყეთ, რომ შეიძლება დათქმულ ვადასაც დავასწროთ. ამის თავდებია ჯ. ჩხაიძის, ა. კვიციანის და ა. ზაქარიეშვილის სამშენებლო უბნების კოლექტივების თავდადებული შრომა.

შახტმშენებლები ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვის ინიციატორები არიან. ახლახან აქ კვირაბის გაყვანაზე დანერგა პიდრავლიკურ პრინციპზე მომუშავე მტვირთავი მანქანები. ეს მექანიზმი შუამობს 10 გრადუსამდე დახრილობის სამთო გამონამუშევარში, რითაც თითქმის ორჯერ იზრდება შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ თვის განმავლობაში გვირაბის გაყვანა 30-35 გრძივ მეტრს არ აღემატებოდა, ახლა გაზრდილია 60-70 მეტრამდე.

სიახლეთა დანერგვამ საგრძნობლად გაუმჯობესა სამმართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘᲡ Ა

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სპირხელთა საქმეები

სოფელ სპირხეს არასოდეს მოჰკლებია გამრჯე ხელი. ბიდ-ვენახებით და ციმბოვნებით განაშენიანებული ეზო-გარეშოებით ხალიჩასავით მოხატული სოფელში შეძლებული ცხოვრობენ მიწის სიუხვის სამსახურში ჩამდგარი ადამიანები. სწორედ ამ ადამიანებმა მოიპოვეს დიდებულ სიმბოლიურ კოლმეურნეობას, რომელიც ერთ-ერთი მიჩნეულია საჩხერის რაიონში.

ახლა კარდე უფრო ამაღლებული ჩანს შრომაც, ცხოვრებაც, საზოგადოებრივი ყოფის საბჭოური წესი. ყოველივე ამის, გვირგვინია ქვეყნის დიდი ქარტიის პროექტი, რომლის ყველაფერი მუხლი თუ სტრიქონი თვით მშრომელების ხალხმასის საგანი გახდა.

სპირხე ერთი ტიპური ზემოამერული სოფელია და კონსტიტუციის პროექტის განხილვა-შესწავლის ორგანიზაციაც ისევე ტიპური იქ, როგორც ათასობით სხვა სოფელში. ეს არის ჩვენი ქვეყნის, კომუნისტური პარტიის, თვით კონსტიტუციის ყველაზე დემოკრატიული არსი, უძლეველობა.

საზეიმოდ მორთული გამოიყურება სოფლის დაწესებულებები, საზოგადოებრივი შეკრების ადგილები. გვიან ღამემდეა სინათლით გაჩახჩახებული აგიტპუნქტი, სოფლის ბიბლიოთეკა და კლუბი. საჩხერელმა ინტელიგენციამ, კომუნისტებმა, კომკავშირელებმა ერთსულოვნად იკისრეს აგიტატორის, პოლიტინფორმატორის და პროპაგანდისტის ფუნქციები და მასობრივად გაჩაღდა კონსტიტუციის პროექტის დაწვლება, განხილვა, ამერიკული ყბადაღებული ადამიანთა უფლებების კამპანიისა, დაახასიათა ბურჟუაზიული დემაგოგების ცრუ ქადაგება და შეადარა ეგი ქვეყნის ბატონ-პატრონი საბჭოთა ადამიანების სრულუფლებიანობას.

სოფელში ცალკეული დასახლებული უბნების მიხედვით ეწყვიან ნაყოფიერ, მომარჯვებულ საგაზეთო-მასობრივ მუშაობას აგიტატორები მ. მესხი, რ. ჭელძე, ო. ლუღუნიშვილი და სხვები. ისინი ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის ბრწყინვალედ უკავშირებენ მეათე ხუთწლეულში გადასაჭრელ დიდ პრობლემებს და რაზმავენ კოლმეურნეებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ამას წინათ გამართულ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, როდესაც განიხილავდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტს, პრინციპიულად განისაზღვრა თითოეული კომუნისტის ამოცანა. ისინი სოფელში მშრომელებს საინტერესოდ, მობამბეჭდავად. ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით განუმარტავენ ქვეყნის მომავალ ძირითად კანონს კოლმეურნეობის აგრონომი გ. შუბითიძე და ეკონომისტი ა. დვალი.

მსმენელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კონსტიტუციის პროექტის თავებმა „სოციალური განვითარება და კულტურა“, „საგარეო პოლიტიკა“. როგორც ცნობილია, მოქმედ კონსტიტუციაში ეს თავები არ ყოფილა და მომავალ კანონში მათი შეტანა აღამიანებზე ზრუნვის კიდევ ერთი დიდი დადასტურებაა, ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის მსოფლიო აღიარებაა.

ბევრი ხალხი იყო ამ დღეებში აგიტპუნქტში. სკოლის დირექტორის, ს. ჭიხლიაის მიერ საბჭოთა კონსტიტუციის დემოკრატიულობაზე წაკითხულმა შინაარსიანმა ლექციამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მან მოიყვანა კონკრეტული ფაქტები დასავლური და ამერიკული „ადამიანის უფლებათა“ ბინდბინდა ბანდიტ-ბანდიტ-ბანდიტ-



გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“

იმ სუსხიან შემოდგომაზე

გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველომ“ ცალკე წიგნად გამოსცა მიხეილ კოტოვისა და ვლადიმერ ლიასკოვსკის მოთხრობა „იმ სუსხიან შემოდგომაზე“ (თარგმანი ლ. კიკნაძისა).

მიხეილ კოტოვისა და ვლადიმერ ლიასკოვსკის მოთხრობა ეძღვნება საბჭოთა მეოთხართა თავდადებას დონის როსტოვისათვის ბრძოლებში 1941 წლის შემოდგომაზე. მოთხრობის ცენტრშია საბჭოთა კავშირის გმირის თბილისელი სერგი ოჩანიანის ბატარეის გმირობა ბერძერ-ობის ყორღანზე, როცა არტილერისტებმა უთანასწორო ბრძოლა გადუმართეს თაშისტთა ტანკებს. წიგნში მკითხველი შეხვდება ბრიგადის კომისარს ლ. ი. ბრეჟნევს, მარშალ ს. კ. ტიმოშენკოს, გენერლებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს — როსტოვისათვის გაჩაღებული ბრძოლების მონაწილეებს.

წიგნს თან ახლავს ავტორების „სიტყვა ქართველი მკითხველისადმი“.

„ძვირფასო მეგობარო! — ნათქვამია ამ წინასიტყვაში,—სანამ წიგნის კითხვას შეუდგებოდე, გვინდა წინასწარ ავტორთა ერთი პატარა საიუბილო გაგანდოთ. საქმე ის არის, რომ თავდაპირველად ჩვენს წიგნს, რომელშიც მოთხრობილია ერთი ინტერნაციონალური საარტილერიო ბატარეის უკვდავი გმირობის ამბავი დონის როსტოვის მიახლოებთან 1941 წლის ხუსხიან შემოდგომაზე, ასეთი სათაური ჰქონდა — ტაუ. ამ უჩვეულო სიტყვის გაშიფვრა, რომელიც როგორც „შემდეგ დავრწმუნდით, თითქმის უოველი თბილისელისათვის ნაცნობია, ძალიან მარტივია. იგი ნიშნავს — თბილისის საარტილერიო სასწავლებელს (რუსულ ენაზე).

წიგნის ასეთი თავდაპირველი სახელწოდება, ცხადია, გამართლებული და ლოგიკური იყო: ჩვენი მოთხრობის მთავარი გმირები — სმოლენსკელი მეტყველის შვილი ვასილ პუზარევი და თბილისელი ტრამვაის ვაგონის შვილი სერგი ოჩანიანი ტაუს თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ალუმნალები იყვნენ. ტაუ მათთვის ჭაბუკობის, პირველი სიყვარულის, სიმამაცისა და ვაჟკაცობის სიმბოლო იყო. სწორედ აქ, ტაუში დადეს მათ სამშობლოს ერთგულების ფიცი. მათი ჩამოყალიბება, როგორც წითელი არმიის მეთაურებისა და მოქალაქე პატრიოტებისა, ხდებოდა ამ სასწავლებლის კედლებში. უფრო სწორედ კი სახელოვანი შრომითი და რევოლუციური ტრადიციების ქალაქ თბილისში. ბედმა ისე ინება, რომ ტაუს დამთავრების შემდეგ ორი მეგობარი 317-ე ნსროლელთა დივიზიაში მოხვდა, რომელიც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებით იყო შედგენილი.

ჩვენ, წიგნის ავტორები, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტებად ვმუშაობდით სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე.

1941 წლის შემოდგომაზე მიტლერელთა არმია გაშმაგებით მიიწევდა სამხრეთისაკენ, უნდოდა ხელში ჩაეგდო ბაქო, თბილისი, ერევანი, მაგრამ ჩვენ, სამხედრო კორესპონდენტები, კარგად ვხედავდით, რომ ფიუერერის ავანტიურა საბოლოოდ განწირული იყო, ორმოცდაერთი წლის ნოემბერში დონის მიხადგომებთან უკუგდებულ და განადგურებულ იქნა გენერალ „ალაისტის უძლიერესი ფაშისტური სატანკო არმია. ეს იყო წითელი არმიის, სიხსნით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების ბრწყინვალე გამარჯვება. ამ ღირსსახსოვარ, მრისხანე დღეებში ბერ-ბერ-ობის ყორღანზე უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა საარტილერიო ბატარეა, მაგრამ მტერს გზა არ მიეცა როსტოვისაკენ. ამ ბატარეის შემადგენლობაში იბრძოდა ქართველი ხალხის შვილი ვახტანგ მოსაიშვილი, რომლის მამაცობაზე „კომსომოლსკაია პრავდის“ ფურცლებზე ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვწერდით. საგაზეთო ნარკვევი იმის საფუძველი გახდა, რომ შექმნილიყო პირველი ფრონტული წიგნი „უკვდავება“. იგი სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილის, ბრიგადის კომისრის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დავალებით დაიწერა. სწორედ იგი იყო რედაქტორიც ამ პატარა საფრონტო გამოცემისა. წიგნი მოკავშირობდა საბჭოთა მეომრების მამაცობისა და გმირობის ამბავს, რომელშიც გამოხატულება პოვა საბჭოთა ხალხების ურღვევმა ძმობამ და მეგობრობამ.

სურათებზე: ზემოთ მარცხნიდან — ლ. ი. ბრეჟნევი და სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი, დივიზიის კომისარი მამლენოვი. 1942 წელი; ლ. ი. ბრეჟნევი სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს მუშაკებთან ერთად, 1942 წელი; ქვემოთ — ლ. ი. ბრეჟნევი სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს მუშაკებთან ერთად, 1941 წელი;

წინამდებარე გამოცემაში ვცადეთ მოკლედ გვეამბნა ტაუზე, მისი აღზრდილების, როსტოვთან, ბერ-ბერ-ობის ყორღანზე დაღუპული ინტერნაციონალური საარტილერიო ბატარეის გმირობის ამბავი; თქვენთვის გაგვეცნო პოლკოვნიკ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სამბრძოლო საქმეები, რომელმაც სახელოვნად განვლო დიდი სამამულო ომის მძიმე გზები. იგი უშუალო მონაწილე იყო, 1941 წლის შემოდგომაზე როსტოვის მიახლოებთან გაჩაღებული მრისხანე ქარტეხილებისა, იბრძოდა ნოვოროსიისკში, როგორც მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი. როგორც ცნობილია, ამ არმიის ხარდალი იყო საბჭოთა კავშირის გმირი კონსტანტინე ლესელიძე, რომელიც სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ასე დაახასიათა:

„მე მომიხდა მებრძოლი ერთ-ერთ უნიჭიერეს საბჭოთა მხედართმთავართან — მე-18 არმიის სარდალთან გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძესთან ერთად. ფრონტზე, საერთოდ, ძალიან მალე მეფდვნდება ადამიანის ბუნება, აქ მაშინვე იგებ. ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამახსოვდა, როგორც ქართველი ხალხის ხაუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, მტრისათვის მრისხანე და მეგობრებისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, ხატყვეს კაცი, გონებამახვილი და გულმგზნებარე“.

